ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№49
(გაერთიანებული განათლებისა და კულტურის კომისიასთან)

ქ. თბილისი; 13 სექტემბერი, 2019 წ. 13 :00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი - მარიამ ჩივაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ვალერი ჭიღლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი - კახა სამხარაძე.

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35 118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 90 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.37.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
5. „ქ.თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო რაიონი, 25-ე კორპუსის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 774 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.10.07.004.075) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
6. “ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 862 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01 14 01.002.108) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
7. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.615), ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთის

(საკადასტრო კოდი: 01.10.11.001.168) და ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ისთვის (ს/კ 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N130 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და საიჯარო პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ პირებთან გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულებების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის „ა" კორპუსის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.11.17.005.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N19ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.008.082.01.542) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107 ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.517) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. "ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრორაიონის კორპუს N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.007.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.304.01.446) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. "ქალაქ თბილისში, ევგენი ღვალაძის ქუჩა N22 (ყოფილი ავჭალა 1, კოტეჯი N29) (საკადასტრო კოდი: N01.11.17.004.069.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. "ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის მასივის II მიკრორაიონის კორპუს N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.022.005.01.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №27-ის მიმდებარედ არსებული 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.04.015.013) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „რ ჯგუფისთვის" (ს/ნ: 404421737) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №7 ის მიმდებარედ არსებული 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.062.008) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის" (ს/ნ: 404497665) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა №76-ის მიმდებარედ 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.028.054) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი საყვარელიძისთვის (პ/ნ:01026007627) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55635 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.065) 38 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩექინნ გრუპისთვის" (ს/ნ: 402113253) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ს ქუჩაზე მდებარე 1135 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045 019) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაგისოვის" (ს/ნ: 405194597) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. "ქალაქ თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩა №37-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.10.17 037 036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დე.დე.ასისთვის" (ს/ნ: 400181726) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №28-66-ის მიმდებარედ არსებული 2286 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:№01.14.11.029.055) 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის" (ს/ნ:404552587) სარგებლობის უფლებით

იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოსა და ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ (ს/კ 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებულ „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ (ს/კ 201990079) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „აკა“-ს (ს/კ 402039744) შორის 2017 წლის 3 აგვისტოს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ Nე-365-31-21329 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. “ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №44-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იასონისთვის“ (ს/ნ: 203832317) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. “ქალაქ თბილისში, მარჯანიშვილის ქ. №16, კორპუს 3-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.13.08.007.020.01.028) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. “ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლისჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 7842კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ:01.10.18.009.107) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა - ვალერი ჭიღლაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს, სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი, კახა სამხარაძე წარუდგინა და წარმოადგინა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

ვალერი ჭიღლაძემ ისაუბრა კახა სამხარაძის საქმიანობაზე, გამოცდილებაზე და განმარტა, რომ ბატონი სამხარაძე გახლდათ შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულ გუბერნატორი.

ვალერი ჭიღლაძის თქმით, ბატონ სამხარაძეს გააჩნია კერძო და საჯარო სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება და იგი არის მისი საქმის პროფესიონალი.

დასასრულს, მერიის ადმინისტრაციის უფროსმა განმარტა, რომ კახა სამხარაძე კარგად იცნობს მუნიციპალიტეტის პრობლემებს და ბატონ კახას წარმატება უსურვა მომავალ საქმიანობაში.

აზრი გამოთქვეს:

იურდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - გიორგი ჩაკვეტაძემ დააფიქსირა თავისი პოზიცია სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის - კახა სამხარაძის მიმართ და განაცხადა, რომ მიესალმება აღნიშნულ თანამდებობაზე ბატონი სამხარაძის კანდიდატურის წარდგენას. მისივე თქმით, ბატონი კახას სამომავლო საქმიანობა, რომელსაც იგი შეასრულებს სამგორის რაიონის გამგებლის რანგში, იქნება ისეთივე წარმატებული და ეფექტური, როგორიც ეს იყო მისი რწმუნებულ-გუბერნატორის პოზიციაზე მუშაობისას.

ბატონმა გიორგიმ მხარდაჭერა გამოუცხადა კახა სამხარაძის კანდიდატურას და წარმატება უსურვა მას მომავალ საქმიანობაში.

იურდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, წარმატება უსურვა სამგორის რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატს და განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - მარიამ ჩივაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N169 და N356 დადგენილებებში შეტანილი ცვლილების თანახმად, საქართველოს მთავრობის მიერ სრულად ფინანსდებიან, 2019 წლის 1 აგვისტოდან C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები და ასევე ის პირები, რომლებიც 1 აგვისტოდან სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას შეიცვლის „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართი N2 ის მე 8 პუნქტით განსაზღვრულ ეტაპებზე.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით, ცვლილება ხორციელდება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №35-118 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესში“ და 2019 წლის 1 აგვისტომდე ჩართულ ბენეფიციარებს, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური დააფინანსებს მომსახურების ღირებულების 30%-ით, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც 2019 წლის 1 აგვისტოდან შეიცვალეს სერვისის მიმწოდებელი დაწესებულება „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ დანართი N2-ის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ ეტაპებზე“.

მარიამ ჩივაძის თქმით, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ზემოაღნიშნული წესიდან ამოღებულ იქნება მე-7 მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია ტარიფები და პირდაპირ მიეთითება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამით“ დადგენილი ტარიფები. („C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილება).

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, წარმოდგენილ დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ასევე, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის პირველ მუხლში „„დ“ ქვეპუნქტის“ ნაცვლად, უნდა მიეთითოს „„დ“ პუნქტი“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - მარიამ ჩივაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით ცვლილება შედის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №15-49 დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქეპროგრამის განხორციელების წესში. კერძოდ, აღნიშნული წესისი მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში სწორდება ტერმინი და „საზღვარგარეთის“ ნაცვლად ეცვლება „საქართველოს ფარგლებს გარეთ“.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად, ახალი რედაქციით ყალიბდება აღნიშნული წესის მე-7 მუხლის მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტები და აღნიშნულ მუხლს ემატება ასევე მე-11 პუნქტი.

მარიამ ჩივაძის თქმით, აღნიშნული ცვლილებების შედეგად, საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფინანსების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება ხდება საგარანტიო წერილის ფორმით, რომელიც კლინიკისათვის წარმოადგენს საფუძველს, რომ მომსახურების გაწევის შემთხვევაში მოხდება მისი ანაზღაურება. საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფინანსების შემთხვევაში, მოსარგებლე/მისი კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია სამედიცინო დაწესებულებიდან უზრუნველყოს გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

დასასრულს, მარიამ ჩივაძემ დასძინა, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ, სამედიცინო ან სხვა მიმწოდებელ დაწესებულებაში თანხის გადარიცხვა ხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. ასევე გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ, სამედიცინო ან სხვა მიმწოდებელი დაწესებულება, საგარანტიო წერილის საფუძველზე, უარს აცხადებს მომსახურების გაწევაზე, ამ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია დაფინანსება განახორციელოს წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის და სამგზავრო ბილეთის წარმოდგენის და ფორმა N1-ის შევსების საფუძველზე. სამგზავრო ბილეთების წარმოდგენა არ არის აუცილებელი იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარგებლე პირი,

განცხადების განხილვის მომენტისათვის, სამკურნალოდ იმყოფება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

აზრი გამოთქვა:

იურდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, წარმოდგენილ დადგენილების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ხატოსი ლოჯკანის თქმით, მითითებული წესის მე 4 მუხლის მე-6 პუნქტის „თ.თ“ ქვეპუნქტში ტერმინი „საზღვარგარეთის“ ასევე უნდა შეიცვალოს, ტერმინით „საქართველოს ფარგლებს გარეთ“

კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია შეიცვალოს და განსხვავებული სახით მოხდეს, „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის ფორმულირება, რამდენადაც დადგენილების პროექტში მითითებული ფორმულირება იმპერატიული ფორმით ავალდებულებს, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სამედიცინო ან სხვა მიმწოდებელ დაწესებულებას, მომსახურება გასწიოს კონკრეტულ ვადაში, მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის საფუძველზე.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - ნინო რუხაძემ, განაცხადა, რომ წარმოდგენილ წესის დაკორექტირებული ვერსია მასში იწვევს ბუნდოვანებას და იძლევა ორგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას. ნინო რუხაძის თქმით, საგარანტიო წერილი სამედიცინო დაწესებულებისთვის წარმოადგენს გარანტიას, რომ მომსახურების გაწევის შემთხვევაში, მოხდება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება. მისივე თქმით, რამდენადაც, სწორედ საგარანტიო წერილის საფუძველზე ხორციელდება მომსახურების გაწევა და შესრულებული სამუშაოს შესაბამისი თანხის ანაზღაურება, სასურველია დაკონკრეტდეს რომ დადგენილი ვადა მხოლოდ საგარანტიო წერილის წარდგენის პროცედურას ეხება და არ ვრცელდება მომსახურების მიღებასა და თანხის ანაზღაურებაზე. ნინო რუხაძის თქმით, სასურველია, საგარანტიო წერილის მითითების ნაწილში გამოყენებულ იქნას ტერმინი **„წარდგენილ უნდა იქნას სამი თვის ვადაში“**.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დადგენილი ვადა მხოლოდ დოკუმენტის წარდგენაზე ვრცელდება და მოსარგებლეთათვის მომსახურების მიღებასთან და თანხის ანაზღაურებასთან კავშირში არ არის. მისივე თქმით, საქართველოს ფარგლებს გარეთ მომწოდებელ ან სხვა სამედიცინო დაწესებულებისთვის მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ვადების დაწესების უფლებამოსილება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ გააჩნია.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, საგარანტიო წერილი გაიცემა, მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებაში წარდგენის მიზნით და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების გარანტიაა. მოსარგებლემ, აღნიშნული დოკუმენტი სამი თვის განმავლობაში უნდა წარადგინოს

შესამაბის დაწესებულებაში და მის საფუძველზე მიიღოს მომსახურეობა, თუმცა, ბატონი ლევანის თქმით, არის შემთხვევები, როდესაც, მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულება უარს აცხადებს საგარანტიო წერილის საფუძველზე მომსახურების გაწევაზე.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, თუკი მომსახურების მიმწოდებელი ენდობა საგარანტიო წერილს და მის საფუძველზე გასწევს მომსახურებას, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება და თანხის გადარიცხვა მოსარგებლე პირის მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ხორციელდება. თავმჯდომარის განმარტებით, საქართველოს ფარგლებს გარეთ, სამედიცინო ან სხვა მიმწოდებელ დაწესებულებაში თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებული საკითხი, წარმოდგენილი წესის მე 7 მუხლის მე 9 პუნქტით განისაზღვრება.

ბატონი ლევანის თქმით, სასურველია, რომ აღნიშნული წესის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტში, რომელითაც განსაზღვრება რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ, სამედიცინო ან სხვა მიმწოდებელ დაწესებულებაში თანხის გადარიცხვა განხორციელდება მოსარგებლე პირის მიერ შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, გაიწეროს აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენისა და თანხის გადარიცხვის კონკრეტული ვადა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. იურიდიული სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე არსებული 90 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.37.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ავჭალა-2“-ს, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად, საკუთრებაში გადაეცემა, ავჭალის მასივის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება იმ ვალდებულებით, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში მიწის ნაკვეთზე განთავსდება წყალმომარაგების ქსელისთვის გათვალისწინებული სატუმბო სადგური და უზრუნველყოფილი იქნება მისი შემდგომი ფუნქციონირება.

ქალბატონი ნინოს თქმით, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ამხანაგობისთვის გადაცემის შემთხვევაში მზადყოფნა გამოთქვა, მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნია აღნიშნულ ტერიტორიაზე საქაჩი ტუმბოს განთავსება. ხოლო, გლდანის რაიონის გამგეობა არ არის წინააღმდეგი, ამხანაგობას სიმბოლურ ფასად გადაეცეს სატუმბი სადგურის მოსაწყობად საჭირო მიწის ნაკვეთი.

აზრი გამოთქვა:

გლდანის (ავჭალის) რაიონის მაჟორიტარმა - შალვა ოგბაიძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეს - ლევან ჟორჟოლიანს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ კომისიის ფორმატში მიეცა თავისი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა ბატონმა შალვამ. ასევე მადლობა გადაუხადა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოსა და ყველა ჩართულ მხარეს, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს სოფელ გლდანში, ავჭალის ტერიტორიაზე მცხოვრები დაახლოებით 500-მდე ოჯახის წყალმომარაგების პრობლემის მოგვარებაში.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. იურიდიული სამსახურის უფროსმა ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ.თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო რაიონი, 25-ე კორპუსის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11 774 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.10.07.004.025) ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №419 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

ნინო კვეტენამის თქმით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, დედაქალაქის საკუთრებაში არსებული ქონების, ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრორაიონი, 25-ე კორპუსის მიმდებარედ, 11 774 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული მონაკვეთების, მთავრობის N19.890.1129 განკარგულების დანართი N1-ით წარმოდგენილ ნუსხაში მითითებული

პირებისათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად -1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემა, ამავე განკარგულების დანართი N2-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მომხსენებლის განმარტებით, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონება გადაეცემა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებს/მათ წარმომადგენლებს/უფლებამონაცვლეებს (სულ 61 (სამოცდაერთი) პირი (სიით -60 პირი) (გიორგი და ქეთევან ჩახნაშვილებს მემკვიდრეობით გადაეცემათ უძრავი ქონება თანასაკუთრებაში).

ნინო კვეტენაძის თქმით, საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ მასალებს თან ახლავს, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრად აღრიცხვის გადაწყვეტილებები, ბინის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტები (თანხმობა, უძრავი ქონების მიღების სანაცვლოდ, სახელმწიფო საშინაო ვალზე მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ), ასევე, ამონაწერები სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზიდან, შესაბამისი სარეიტინგო ქულის მითითებით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი რედაქციით მიეთითოს ქ.თბილისის მთავრობის 2019 წლის N19.890.1129 განკარგულების სათაური და ასევე, ამავე განკარგულების პირველ პუნქტში ჩაემატოს სიტყვები - „ამავე განკარგულების“.

თავმჯდომარემ, დანართი N2-ის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის მიმართ გამოთქვა შემდეგი სახის შენიშვნები:

ა) სასურველია, მე-5 მუხლის 5.1.1.1 ქვეპუნქტში ჩაემატოს სიტყვა „უფლებამონაცვლეებს“ და გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ნომრების N651-ისა და N624-ის განმეორებით მითითების გამო და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

ამასთან, ლევან ჟორჟოლიანის მოსაზრებით, მიზანშეწონილია ხელშეკრულების პროექტის მე-9 მუხლის შემდეგ, ხელმომწერ პირთა სიის ნაწილში სწორი რედაქციით მიეთითოს ნაირა ოქროპირიძის სახელი და გვარი პირად ნომერთან ერთად, ხოლო, დანართ N1 და დანართ N2-ში სწორი რედაქციით მიეთითოს ხელმომწერი პირის - ციცინო დევიძის პირადი ნომერი.

საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 862 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.14.01.002.108) საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ.თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 862 კვ.მ მიწის ნაკვეთის, სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში ეკლესიის დამხმარე შენობა-ნაგებობის ფუნქციონირების მიზნით.

მომხსენებლის თქმით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური შესაძლებლად მიიჩნევს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სამსახურის მიერ განსაზღვრული კონფიგურაციით.

დასასრულს, ქალბატონმა ნინომ განმარტა, რომ სსიპ - რელიგიის საკითხთა სააგენტოს გააჩნია დადებითი პოზიცია, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მის დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის გადაცემასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.007.615), ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.11.001.168) და ქ. თბილისში, წურწუმიასა და ნ. ირბახის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.050.017) შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტ ისთ"-ისთვის (ს/კ 404520363) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N130 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და საიჯარო პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, 2017 წელს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N130 განკარგულების საფუძველზე, შპს „კაზ ფროფერთი მენეჯმენტს“, 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, იჯარით გადაეცა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ბენზინგასამართი სადგურებისა და ელექტრომობილების დამმუხტველი/სატუმბი საშუალებების განთავსების მიზნით. 2018 წელს, ცვლილება შევიდა საკრებულოს ზემოაღნიშნულ განკარგულებაში.

ნინო კვეტენაძის თქმით, კომპანიის დირექტორი, დავით ღვინიაშვილი სააგენტოსგან ითხოვს, საიჯარო პირობებით გათვალისწინებული ელექტროპანელების დამონტაჟება/ფუნქციონირების დაწყების გადავადებას „გადამოწმებულ ქონებაზე“ და თითოეულ ბენზინგასამართ სადგურზე ერთი თითო ელექტრომობილების დამმუხტველი/სატუმბი საშუალების განთავსების ვადის გაზრდას დამატებით ერთი წლითა და ექვსი თვით, კონკრეტულად კი ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანზე მდებარე 1367 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ 2173 კვ.მ მიწის ნაკვეთზე.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი პროექტით ხდება, ცვლილების შეტანა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N130 განკარგულებაში და საიჯარო პირობებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის ერთი წლითა და ექვსი თვის ვადით გადავადება, საინვესტიციო ვალდებულებების 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით გაზრდის პირობით. წარმოდგენილი პროექტით ასევე, ხდება, საიჯარო პირობებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან კომპანიის გათავისუფლება, ვინაიდან კომპანიის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იქნა სხვადასხვა საკანონმდებლო, სტრუქტურული და ინსტიტუციონალური ცვლილებებით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილ განკარგულების პროექტის სათაურსა და მე-2 პუნქტში უნდა მიეთითოს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლო, მხოლოდ დაკისრებული პირგასამტეხლოს ნაცვლად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული 8-ე საკითხის განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კომისია ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული 8-ე საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

9. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის „ა“ კორპუსის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: #01.11.17.005.006) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის „ა“ კორპუსის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N19.936.1189 განკარგულებით განსაზღვრულ პირთათვის (23 ოჯახი), პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ 2011 წლიდან დღემდე, რაც დასტურდება ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის III განყოფილების მიერ.

ქალბატონმა ნინომ იქვე დასძინა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ნოვატორი 1“ ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმის მიხედვით და გლდანის რაიონის გამგეობის მუხიანის საუბნო განყოფილების წერილით მიხედვით, დასტურდება, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული ოჯახები ნამდვილად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე 2011 წლიდან დღემდე.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ სსიპ- ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლების I მიკრორაიონის „ა“ კორპუსის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების მოქალაქეებისთვის: ავთანდილ სირაძისთვის, ზაური გოგოლაძისთვის, გიორგი ბექაურისთვის, გიორგი ჩიკვილაძისთვის, დავით გუმბერიძისთვის, ვალიდა შეყელაშვილისთვის, ირაკლი გობეჯიშვილისთვის, ირინა გაფრინდაშვილისთვის, ლევან გაბლიშვილისთვის, ლიკა ბაძგარაძისთვის, ლუიზა ცუცქირიძისთვის, მადონა დაჩიბერიძისთვის, მარიამ მედულაშვილისთვის, მაყვალა თურმანიძისთვის, ნატო გუმბერიძისთვის, ნინო გოგოლაძისთვის, ნინო გოცაძისთვის, რატი ჭიტაძისთვის, დიანა თედიაშვილისთვის და ნინა ტუღუშისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

დასასრულს, ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრულ პირებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის. ხოლო, საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილის მიხედვით, მითითებული პირები დევნილად რეგისტრირებულნი არ არიან

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, თუკი რამდენიმე პირს ერთად უფიქსირდება შეჭრა რომელიმე კონკრეტულ ფართში, მოსავალში, ნებისმიერი დავის თავიდან აცილების მიზნით, სასურველია, რომ დაინტერესებაში არსებული ქონება მათ გადაეცეთ თანასაკუთრებაში,

კომისიის თავმჯდომარის თქმით, განკარგულების პროექტის სათაური გამართული უნდა იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N19ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.008.082.01.542) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე თენგიზ ჩხაიძისთვის (პ/ნ 26001007988), მოსკოვის გამზირი N19ა, სადარბაზო 1, სართული 4 - მისამართზე მდებარე 32.06 კვ.მ ფართის, სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებლის განმარტებით, მოქალაქე თენგიზ ჩხაიძის ოჯახი არის სოციალურად დაუცველი და დაინტერესებაში არსებულ მისამართზე მისი ცხოვრების ფაქტი დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ. აგრეთვე, მომხსეწებლის თქმით, სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლის შემოწმების ოქმით დასტურდება თენგიზ ჩხაიძის და მისი ოჯახის წევრების მითითებულ მისამართზე 2003 წლიდან ცხოვრების ფაქტი.

ქალბატონი ნინოს თქმით, თენგიზ ჩხაიძის და მისი ოჯახის ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ფართში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრების ფაქტი ასევე დასტურდება, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებით.

დასასრულს, ქალბატონმა კვეტენაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ოერგიზ ჩხაიძეზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107 ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.517) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე მადლენა ბოგვერაძესთვის (პ/ნ 18001042188), ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ, სართული 1 - მისამართზე მდებარე 21.35 კვ.მ ფართის სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებლის თქმით, მადლენა ბოგვერაძემ, სსიპ- ქონების მართვის სააგენტოში წარადგინა 2012 წლის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მას გაუფორმდა ხელშეკრულება „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის N24/09/02 განკარგულებაში მითითებული საკადასტრო მონაცემების შესაბამისად. ქალბატონი ნინოს თქმით, აღნიშნული საკადასტრო მონაცემები არ წარმოადგენდა მოქალაქის მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართის საკადასტრო მონაცემებს, რის გამოც 2012 წელს მადლენა ბოგვერაძისთვის უძრავი ქონების პრივატიზება ვერ მოხდა.

დასასრულს საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ისნის რაიონის გამგეობაში წარდგენილია, ისანი-სამგორის სამმართველოს წერილი, რომლითაც დასტურდება მადლენა ბოგვერაძის ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი. ასევე, წარდგენილია მადლენა ბოგვერაძის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები, რომლითაც ისინი ადასტურებენ მოქალაქის მითითებულ მისამართზე 1999 წლიდან დღემდე ცხოვრების ფაქტს.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - „სიმბოლური ფასი - 1 (ერთი) ლარი“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრორაიონის კორპუს N19 ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.007.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე შურა ქობალიასათვის (პ/ნ 01030027450), ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრორაიონის კორპუს N19-ში, მე-2 სართულზე, 70.68 კვ.მ ფართის სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

საკითხის წარმომდგენის თქმით, შურა ქობალია დაახლოებით 1990 წლიდან დღემდე ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, ვაკე საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მიერ. ქალბატონი ნინოს თქმით, საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დოკუმენტთა შორის ფიქსირდება სს"თელასი"-ს ქვითრები, რაც ადასტურებს დაინტერესებული პირის მითითებულ მისამართზე წლების მანძილზე ცხოვრების ფაქტს.

საკითხის წარმომდგენის თქმით, მოქალაქე შურა ქობალია აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად და მის სახელზე, ქ. თბილისში, ფოცხვერაშვილის ქუჩა N18-ში რეგისტრირებულია 13 კვ. მ ფართი, სადაც, ჩაწერილები არიან მოქალაქე შურა ქობალია და მისი ოჯახის წევრები, თუმცა, 1986 წელს, ქ.თბილისის ოქტომბრის რაიონის აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზეც მოქალაქე აყვანილ იქნა საცხოვრებელი ბინის მიღების აღრიცხვაზე, ვინაიდან მითითებული ფართი საცხოვრებლად უვარგისად იქნა მიჩნეული.

ქალბატონი ნინოს თქმით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე, არ დაკმაყოფილდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის სარჩელი, შურა ქობალიას გადასაცემი ფართიდან გამოსახლებასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ჩაემატოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური: „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად".

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი N3 ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.011.304.01.446) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე - ქეთევან ფრუიძესთვის, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩის I შესახვევი №3, სართული V, ბინა №446, ფართი: 32.06 კვ.მ, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირს, თავის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება საკუთრებაში უნდა გადასცემოდა საქართველოს პრეზიდენტის 2012 წ. N24.09.02 განკარგულების საფუძველზე. თუმცა, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა კანონმდებლობით დადგენილი წესით არ განხორციელდა.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, მოქალაქე ქეთევან ფრუიძის სოციალურად დაუცველი ოჯახი 2000 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. საკითხის წარმომდგენის თქმით, მოქალაქის მითითებულ მისამართზე ხანგრძლივად ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის II განყოფილება, გლდანის რაიონის გამგეობაში წარდგენილი წერილით.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „აფხაზეთის" კრების ოქმის თანახმად, ქეთევან ფრუიძე და მისი ოჯახი, 2000 წლიდან ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

დასასრულს, ქალბატონმა კვეტენაძემ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ქეთევან ფრუიძესა და მისი ოჯახის წევრებს არ უფიქსირდებათ საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში ჩაემატოს დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური. „სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად“.

გადაწყვიტეს:

იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, ევგენი ღვალაძის ქუჩა N22 (ყოფილი აჭალა 1, კოტეჯი N29) (საკადასტრო კოდი: N01.11.17.004.069.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე გელა ღონღაძისთვის (პ/ნ: 01011048206), ქალაქ თბილისში, ევგენი ღვალაძის ქუჩა N22, სართული 1, ბინა N1, 55,91 კვ.მ. უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ქალბატონი ნინოს თქმით, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, მოქალაქე გელა ღონღაძისთვის, 1994 წლიდან - დღემდე, ოჯახთან ერთად დაკავებული საცხოვრებელი ფართის, სიმბოლური ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემასთან დაკავშირებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, მოქალაქე გელა ღონღაძე 1994 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე მეუღლესთან, შვილებთან და ნათესავთან - რამაზ პაიჭაძესთან (პ/ნ: 33001034034) ერთად, რაც დასტურდება, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის მუხიანის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით. მომხსენებლის თქმით, გელა ღონღაძის შესაბამის მისამართზე ცხოვრების ფაქტი ასევე დასტურდება, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების განაცხადების ოქმებით. ამასთან, საკითხთან დაკავშირებულ მასალებს თან ახლავს, მოქალაქეების: მირდატ კვარცხელიას, ვალერიან მდინარაძის, მურმან კეკელიძის, პაატა სარალაშვილის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება, სადაც აღნიშნული მოქალაქეები ხელმოწერით ადასტურებენ, დაინტერესებული პირის ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს.

მომხსენებლის თქმით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის. თუმცა, თავად გელა ღონღაძისა და მისი ოჯახის წევრის - რამაზ პაიჭაძის სახელზე, უძრავი ნივთებზე უფლებათა რეესტრში დარეგისტრირებულია უძრავი ქონება ხარაგაულის რაიონში, სოფელ ვახანში.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ მასალებს აგრეთვე ახლავს, მოქალაქე გელა ღონღაძის დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების ამსახველი ფოტომასალა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი რედაქციით მიეთითოს ქ. თბილისის მთავრობის 2019 წლის 4 სექტემბრის განკარგულების სათაური, ასევე, აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 1 (ერთი) ლარის ოდენობით და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის მასივის II მიკრორაიონის კორპუს N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.022.005.01.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ომის ვეტერანისთვის - მოქალაქე მალხაზ ჯარიაშვილისთვის (პ/ნ 01027022075), ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის მასივი, II მიკრორაიონი, კორპუს N31-ში, მე-2 სართული, ბინა N31, 61.31 კვ.მ უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ქალბატონი ნინოს თქმით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, არადევნილი სტატუსის მქონე მოქალაქისთვის - მალხაზ ჯარიაშვილის დაინტერესებაში არსებული ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემასთან დაკავშირებით. ასევე, წარდგენილ მასალებს შორისაა,

კომუნალური მომსახურების სააბონენტოს ქვითრები და მოქალაქე მალხაზ ჯარიაშვილის მიერ დაკავებული უძრავი ქონების ამსახველი ფოტომასალა.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VIII განყოფილების მიერ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობაში წარდგენილია მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმები, სადაც, მოქალაქეები: თეიმურაზ ლორია და იამზე ბარბაქაძე ადასტურებენ, რომ მოქალაქე მალხაზ ჯარიაშვილი ოჯახთან ერთად ჩამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე ამასთან, მოქალაქეები: გიორგი მელაძე და ირაკლი ცქიტიშვილი სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტით ადასტურებენ, რომ მოქალაქე მალხაზ ჯარიაშვილი ოჯახთან ერთად 1994 წლიდან-დღემდე ჩამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებული მოქალაქეები ხელმოწერით ადასტურებენ, რომ არ არიან წინააღმდეგნი მალხაზ ჯარიაშვილის მიერ, თვითნებურად დაკავებული ფართის დაკანონების საკითხთან დაკშირებით.

დასასრულს, მომხსენებელმა დასძინა, რომ სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი რედაქციით მითითოთ მთავრობის 2019 წლის 4 სექტემბრის განკარგულების სათაური, ასევე, აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 1 (ერთი) ლარის ოდენობით და პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №27-ის მიმდებარედ არსებული 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.04.015.013) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „რ ჯგუფისთვის“ (ს/ნ: 404421737) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „რ ჯგუფისთვის“, ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №27-ის მიმდებარედ არსებული 24

კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 31 დეკემბრამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 4400 (ოთხი ათას ოთხასი) ლარი.

ქალბატონი ნინოს თქმით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №27 ში მდებარე 880 კვ.მ. ფართს, 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.062.008) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალეწისთვის" (ს/ნ: 404497665) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „გალეხისთვის", ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 1 აგვისტომდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 2000 (ორი ათასი) ლარი.

ქალბატონი ნინოს თქმით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, სამღებროს ქ. №6-ში მდებარე 314 14 კვ.მ. ფართს 2020 წლის 1 აგვისტომდე.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, დაინტერესებაში არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთი იჯარით იყო გადაცემული ზემოხსენებული კომპანიისთვის 2018 წელს, 2019 წლის 1 აგვისტომდე, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**18.** იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა №76-ის მიმდებარედ 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.028.054) პირდაპირი განკარგვის წესით ირაკლი საყვარელიძისთვის (პ/ნ:01026007627) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე ირაკლი საყვარელიძისთვის, ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა №76-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 (ხუთი) წლის ვადით;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 3200 (სამი ათას ორასი) ლარი.

ქალბატონი ნინოს თქმით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ირაკლი საყვარელიძის საკუთრებაშია, ქ.თბილისში, კოსტავას ქუჩა№76-ში მდებარე უძრავი ქონება.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა დასძინა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის თანახმად, ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს №14-39 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**19.** იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55635 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.17.01.065.065) 38 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩექინნ

გრუპისთვის“ (ს/ნ: 402113253) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ჩექინნ გრუპისთვის“ ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 38 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2029 წლის 22 თებერვლამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიური საფასურად განისაზღვრება - 6850 (ექვსი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი.

ქალბატონი ნინოს თქმით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიულ პირს, სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონება, 2029 წლის 22 თებერვლამდე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, ბატონი ლევანის განმარტებით, განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით საკადასტრო კოდით :№ 01.17.01.065.065 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ფართობი არის 55735 კვ.მ და არა 55635 კვ.მ, როგორც ეს მითითებულია წარმოდგენილ განკარგულების პროექტში, შესაბამისად, თავმჯდომარის თქმით მიზანშეწონილია განკარგულების პროექტში გასწორებულ იქნას აღნიშნული ტექნიკური ხასიათის ხარვეზი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვიტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ერეკლე II ს ქუჩაზე მდებარე 1135 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.045.019) 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მაგისთვის“ (ს/ნ: 405194597) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „მაგისთვის“ ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ს ქუჩაზე მდებარე 16 კვ.მ მიწის ნაკვეთის

პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2020 წლის 1 მაისამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 3850 (სამი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი.

ქალბატონი ნინოს თქმით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, ერეკლე II-ქუჩა №6-ში მდებარე უძრავი ქონება, 2020 წლის 1 მაისამდე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩა №37-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: (ს/კ: №01.10.17.037.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დე.დე.ანისთვის“ (ს/ნ: 400181726) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „დე.დე.ანისთვის“ ქალაქ თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩა №37-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2029 წლის 1 თებერვლამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 1160 (ერთი ათას ას სამოცი) ლარი.

ქალბატონი ნინოს თქმით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირის სარგებლობაშია ქალაქ თბილისში, ბალანჩივაძის ქუჩა №37-ში მდებარე უძრავი ქონება, 2029 წლის 1თებერვლამდე.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა დასძინა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის თანახმად, ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს №14-39 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის აზრით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №28-66-ის მიმდებარედ არსებული 2286 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:№01.14.11.029.055) 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის“ (ს/ნ:404552587) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის“ ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №28-66-ის მიმდებარედ არსებული 11 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 1 თებერვლამდე;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 1 600 (ათას ექვსასი) ლარი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნულ იურიდიული პირს, სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №64-ში მდებარე უძრავი ქონება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ (ს/კ 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებულ „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ (ს/კ 201990079) გათავისუფლების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, 2018 წლის 19 აპრილს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება და ფედერაციას, პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაეცა შესაბამისი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც უნდა განხორციელებულიყო ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) და ექსპლუატაციაში მიღება ამავე ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში. საპრივატიზებო პირობის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობად განისაზღვრა 100 (ასი) ლარი, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს დარიცხვის გაგრძელება განისაზღვრა მოცემული საპრივატიზებო პირობის შესრულებამდე.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, სააგენტოს, 2019 წელს განცხადებით მიმართა, ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და ვინაიდან ადგილი ჰქონდა მხარეთა შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის დარღვევას, ითხოვა სააგენტოსაგან თანხმობის გაცემა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად, სამშენებლო ნებართვის მოპოვების და საფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაოების წარმოების მიზნით. ასევე, ლევან კობიაშვილმა ითხოვა ხელშეკრულებით განსაზღვრული და მისგან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების გადავადება 2019 წლის 30 დეკემბრამდე, იქიდან გამომდინარე, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე გადის 250 მმ წყლის მილი და ფიქსირდება ასევე ხაზობრივი ნაგებობა-ელექტროგადამცემი ხაზი რომლებიც საჭიროებენ გადატანას და დემონტაჟს. ფედერაციის პრეზიდენტმა ასევე ითხოვა, ფედერაციის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ცვლილების შეტანას, მხარეთა შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტში და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადის გადავადებას. ასევე მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ გათავისუფლებას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანმა და კომისიის წევრმა - გიორგი ჩაკვეტაძემ თავისი მოსაზრება დააფიქსირეს, სპორტული ობიექტების განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელობაზე.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ $127^2$ მუხლის მე-3 პუნქტის ნაცვლად, მიეთითოს ამავე ორგანული კანონის $127^2$ მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „აუქციონატორს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „აკა“-ს (ს/კ 402039744) შორის 2017 წლის 3 აგვისტოს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №-365-31-21329 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, აუქციონატორს - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „აკა“-ს შორის 2017 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №-365-31-21329 ხელშეკრულების აუქციონის პირობების „ბ.ა“ ქვეპუნქტის ცვლილებას.

ქალბატონი ნინოს თქმით, კომპანიას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების გათვალისწინებით, N01.10.06.010.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, არსებული ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით, უნდა მოეწყო სპორტული მოედნი და სკვერი, (რომელსაც შემდგომში გადასცემდა მუნიციპალიტეტს), შესაბამისი ნებართვის მიღებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს აუქციონში გამარჯვების დღიდან 2 (ორი) წლის ვადაში, არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების გზით.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, მშენებლობის განხორციელებას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწია ადგილობრივმა მოსახლეობამ, იმ მიზეზით, რომ თითქოს კომპანიის მიერ უნდა მომხდარიყო ადგილზე ხე-ნარგავების გაჩეხვა. მოსახლეობის ინფორმირების შემდეგ, ისინი აღარ ეწინააღმდეგებიან მშენებლობას, თუმცა, ამგვარმა გაურკვეველმა პროტესტმა მნიშვნელოვნად შეაფერხა დროის თვალსაზრისით კომპანია. ქალბატონი კვეტენაძის თქმით, ახალი სამშენებლო-სამართლებრივი რეგულაციების შედეგად, კომპანიას გაურთულდა შესაბამისი სამშენებლო ნებართვის მიღება, კერძოდ, კომპანიის მიერ წარდგენილ კვლევას მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის მხრიდან დაუდგინდა ხარვეზი და მისი გამოსწორების პროცესმაც მნიშვნელოვანი დრო მოითხოვა, ცალკე საჭირო გახდა

სატრანსპორტო მოძრაობის სქემის შეთანხმება, ხარვეზები ასევე დადგენილ იქნა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ, თუმცა, აღწერილი შენიშვნები კომპანიის მიერ გამოსწორებულ იქნა ეტაპობრივად.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ კომპანია ითხოვს, მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის 6 თვით გაგრძელებას და ამასთან, თანახმაა დამატებით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყოს შესაბამისი ცვლილების დოკუმენტის მხარეებს შორის გაფორმების მომენტიდან. შესაბამისად, მომხსენებლის თქმით, იცვლება მხარეთა შორის გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ Nე-365-31-21329 ხელშეკრულების აუქციონის პირობების „ბ.ა“ ქვეპუნქტი და ჩანაწერი „ აუქციონში გამარჯვების დღიდან 2 (ორი) წლის ვადაში...“ იცვლება: „აუქციონში გამარჯვების დღიდან 31 (ოცდათერთმეტი) თვის ვადაში“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**25.** იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ №44-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.036) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იასონისთვის“ (ს/ნ: 203832317) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „იასონისთვის“ ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №44-ის მიმდებარედ არსებული 27 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 (ხუთი) წლით;
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება - 5200 (ხუთი ათას ორასი) ლარი.

საკითხის წარმომდგენმა დაამატა, რომ აღნიშნულ კომპანიას დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი იჯარით ჰქონდა გადაცემული 2013 წელს, ხუთი წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 5200 (ხუთი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა დასძინა, რომ შპს „იასონი“ საკუთრების უფლებით ფლობს მის დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №44 / ქალაქ თბილისში, გრიბოედოვის ქუჩა № 35-ში 1 სართულზე არსებულ 43 კვ. მ. ფართს. ასევე, იჯარის უფლებით ფლობს, დაინტერესებაში არსებული

უძრავი ნივთის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 14 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთს, 2025 წლამდე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26-27. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული 26-ე და 27-ე საკითხების განხილვის გადადება, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული 26-ე და 27-ე საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ხიხო ჯალაღანია